



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველი თვის მიმოხილვა

2023

| | |
|----------------------------|----|
| ინფლაცია | 3 |
| საბანკო სექტორი | 5 |
| საბარეო სექტორი | 7 |
| სავალუტო ბაზარი..... | 11 |
| ფულადი ბაზარი..... | 14 |
| მონეტარული აგრეგატები..... | 15 |


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2023 წლის მარცხი წლიურმა ინფლაციამ 5.3% შეადგინა, ხოლო თებერვალთან შედარებით ფასები 0.2%-ით შემცირდა.

საქართველოში ინფლაციას შემცირებას ცენდენცია აქვს. საერთაშორისო ბაზრებზე საქონლის ფასები ეცაპობრივად იკლებს და მცირდება საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულებაც. ეს ცენდენციები საქართველოს ბაზარს გადმოეცემა და გამყარებული ლარის კურსის ფონზე ინფლაციას ამცირებს. ინფლაციის შემცირებას გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია -0.2% (წლილი)



წლიური ინფლაცია 5.3% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მარცხი, წინა თვესთან შედარებით, ყველაზე გამოსარჩევი ბენზინის 5.6%-ით და იმერული ყველის 3.7%-ით გაიფხვრა იყო, რამაც თვის ინფლაცია 0.3 პპ-ით შეამცირა. საპირისპიროდ, დროხის ხორცის და სიგარეცის შესაბამისად 3.9% და 2.0%-ით გაძვირებამ თვის ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით გაზარდა.

სურსათზე ფასების ზრდამ მარცხი წლიურ ინფლაციაში 3.5 პპ-იანი წვლილი შეიტანა. აქედან ყველაზე მსხვილი კომპონენტები პური, კარცოფილზე, ყველზე და ხორცზე წლიურად გაზრდილი ფასებია. ამ პროდუქტების წვლილი ჯამში 2.1 პპ-ს შეადგენდა. ბოლო თვეებში საწვავის (ბენზინი, დიზელი და გაზის საწვავი) თანდათან გაიფხვრის პარალელურად საწვავის წვლილიც ინფლაციაში მცირდებოდა. მარცხი ამ მაჩვენებელმა უკვე უარყოფითი 1.5 პპ შეადგინა. აღსანიშნავია, ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტების გაიფხვრა, რომელთა უარყოფითი წვლილი ინფლაციაში 1.3 პპ-ს გაუტოლდა.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეცის ფასებს გამოირიცხავს, მარცხი 5.0 %-ს შეადგენდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ინფლაციის შემცირებას მეცნიერებმა იმპორტირებული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო თვეებში იმპორტირებულ ინფლაციას მკვეთრად კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. მარცხში იმპორტირებული საქონლის წლიური 3.5%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციამ წინა თვესთან შედარებით მცირედით მოიკლო, თუმცა კვლავ მაღალია და 12.0%-ს შეადგენს. მაღალი ადგილობრივი ინფლაცია ერთი მხრივ, სურსათის (პური, ყველი, ხორცის) ფასების წლიურ ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მომსახურების გაძვირებას უკავშირდება, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი ბინის ქირის (წვლილი ინფლაციაში 0.7 პპ) და სანოცარო გადასახდელის (0.3 პპ) გაძვირებაა.

იმპორტირებული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


| ინფლაცია დეტალურად | 2023 წლის წონები | მარ23/თებ23 | | მარ23/მარ22 | |
|--|------------------|-------------|--------|-------------|--------|
| | | ინფლაცია | წვლილი | ინფლაცია | წვლილი |
| სულ | 100.0% | -0.2% | -0.2% | 5.3% | 5.3% |
| სურსათი და უალკოჰოლო სასმელები | 33.7% | -0.1% | 0.0% | 11.8% | 3.8% |
| სურსათი | 30.9% | 0.0% | 0.0% | 12.0% | 3.5% |
| პური და პურპროდუქტები | 6.1% | -0.5% | 0.0% | 16.8% | 0.9% |
| ხორცი და ხორცპროდუქტები | 7.0% | 1.9% | 0.1% | 10.4% | 0.7% |
| თევზი | 0.5% | -0.2% | 0.0% | 10.9% | 0.0% |
| რძე, ყველი და კვერცხი | 6.9% | -1.6% | -0.1% | 13.6% | 0.8% |
| ზეთი და ცხიმი | 2.6% | 1.1% | 0.0% | -0.8% | 0.0% |
| ხილი, ყურძენი | 1.6% | 2.7% | 0.0% | -2.4% | 0.0% |
| ბოსტნეული, ბაღიკული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით | 3.4% | -1.7% | -0.1% | 28.8% | 0.9% |
| შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი | 2.2% | -0.4% | 0.0% | 2.7% | 0.1% |
| კვების სხვა პროდუქტები | 0.7% | -0.6% | 0.0% | 6.3% | 0.0% |
| უალკოჰოლო სასმელები | 2.9% | -0.2% | 0.0% | 9.6% | 0.3% |
| ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო | 6.9% | 1.1% | 0.1% | 7.2% | 0.5% |
| ცანსაცმელი და ფეხსაცმელი | 4.0% | 1.6% | 0.1% | 3.4% | 0.1% |
| საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები | 9.0% | 0.0% | 0.0% | 11.1% | 0.9% |
| ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება | 5.2% | -1.3% | -0.1% | 5.7% | 0.3% |
| ჯანმრთელობის დაცვა | 9.4% | -0.3% | 0.0% | -9.1% | -0.9% |
| ტრანსპორტი | 12.3% | -2.3% | -0.3% | -8.0% | -1.1% |
| კავშირგაბმულობა | 3.6% | -0.3% | 0.0% | -3.6% | -0.1% |
| დასვენება, გართობა და კულტურა | 3.1% | 0.6% | 0.0% | 3.5% | 0.1% |
| განათლება | 4.4% | 0.0% | 0.0% | 6.6% | 0.3% |
| სასტუმროები, კაფეები და რესტორნები | 3.1% | 1.3% | 0.0% | 12.4% | 0.4% |
| სხვადასხვა საქონელი და მომსახურება | 5.3% | -0.1% | 0.0% | 11.3% | 0.6% |
| ხანმოკლე მოხმარების საქონელი | 63.6% | -0.4% | -0.3% | 3.9% | 2.5% |
| საშუალო მოხმარების საქონელი | 7.1% | 0.6% | 0.0% | 5.2% | 0.4% |
| ხანგრძლივი მოხმარების საქონელი | 4.9% | -1.3% | -0.1% | -10.5% | -0.6% |
| მომსახურება | 24.4% | 0.3% | 0.1% | 11.3% | 2.6% |

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


2023 წლის თებერვალში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 6.07 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 31.5 მლნ ლარით შემცირდა) და 43.7 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 16.1%-ით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. კერძოდ, თებერვალში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 39.7 მლნ ლარით (0.2 %-ით) გაიზარდა და 19.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად მიმდინარე ანგარიშების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 20.7 მლნ დოლარით გაიზარდა, რაც ძირითადად იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდას უკავშირდება. თებერვალში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 152.4 მლნ ლარით შემცირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიმდინარე წლის თებერვალში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 6.35% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 8.7% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ დეპოზიტებზე პრაქტიკულად მცირედით შემცირდა და 0.9%-ს შეადგენს. **რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, რაც მეტწილად ლარისა და ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ განაპირობა.** კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 12.2% შეადგინა. ევროს დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით 0.7% -მდე შემცირდა. ხოლო აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 1.3%-ის დონეზეა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით პრაქტიკულად არ შეცვლილა და 54.8%-ს შეადგენს. თებერვლის ბოლოს, იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.7 პპ-ით 40.6%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.8 პპ-ით 69.8%-მდე შემცირდა. თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია 1.2 პპ-ით შემცირდა და 65.1% შეადგინა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წლის თებერვალში, გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით, სესხები წლიურად 13.3%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპი წინა თვესთან შედარებით უცვლელია. თებერვალში, ლარით დაკრედიტება წლიურად 16.6%-ით, 24.6 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით) 10.1%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 5.2 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული. წინა თვესთან შედარებით თითქმის უცვლელია იპოთეკური სესხების ზრდის ცემპი. სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი შემცირებას განაგრძობს.

სესხების წლიური ზრდის დამაკვირვებელი (კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები ბიზნესობის მიხედვით (წლიური ზრდის დამაკვირვებელი; კურსის ეფექტის გათვალისწინებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე წლის თებერვალში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით გაიზარდა და 13.8% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 16.9%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით გაიზარდა და 7.9% დონეზეა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და მიმდინარე წლის თებერვალში 14.0% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.9 პპ-ით გაიზარდა და 13.1% შეადგინა. ნამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონედარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მალალ დონეზეა. კერძოდ, თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 1.0 პპ-ით - 7.2%-მდე გაიზარდა.


თებერვალში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით მოიკლო და 44.4%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ -ით გაიზარდა და 61.0%-ს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით, 30.2%-მდე შემცირდა. თებერვალში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 47.4 მლნ ლარით გაიზარდა და 562.8 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 38.6% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო საქონლი

2023 წლის თებერვალში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 13.9%-ით შემცირდა და 507.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გაუმჯობესება ძირითადად საქონლის იმპორტის შემცირებას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 5.4%-ით, 963.7 მლნ აშშ დოლარამდე დაიკლო, ხოლო ექსპორტი წლიურად 6.3%-ით გაიზარდა და 455.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა

სავაჭრო ბალანსი ძველების მიხედვით (თაბერვალი 2023)




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


იმპორტი - 2023 წლის თებერვალში საქონლის იმპორტის კლება უმეტესად შუალედური სახის საქონლის შემცირებამ განაპირობა. კერძოდ, შუალედური სახის საქონლიდან მეტწილად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შესყიდვებმა არსებითად დაიკლო. თუმცა შუალედური სახის საქონლიდან მეორე მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობის აირების - იმპორტის ზრდა კვლავ გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ თებერვალში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, სამომხმარებლო სახის საქონლის მადება მაინც მალალი იყო. ეს უკანასკნელი კი მსუბუქი ავტომობილებისა და სამკურნალო საშუალებების გაზრდილმა შესყიდვებმა განაპირობა. საინვესტიციო საქონლის მადება უმეტესად ელექტრონიკის მანქანებისა და აპარატურის შესყიდვებმა გაზარდა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 6.2%-ით შემცირდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მალალი წვლილი შეიძლება იქონიოს, ბრაზილიამ და ინდონეზიამ, რაც სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შემოდინების შემცირებას უკავშირდება. რეგიონის ქვეყნებიდან, უკრაინიდან, იმპორტის კლება სიგარეტები-სიგარილებისა და სამკურნალო საშუალებების, აზერბაიჯანიდან კი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ელექტროენერჯის იმპორტის კლებამ განაპირობა. ამის საპირისპიროდ, რუსეთიდან ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის აირების, ხოლო გერმანიიდან და აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების იმპორტის ზრდა გაგრძელდა. გარდა ამისა, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და ვიეტნამიდან საცელეფონო აპარატების, ხოლო შვეიცარიიდან სამკურნალო საშუალებების იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 63% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


თებერვალში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობის აირებს (28% წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ თებერვალში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის თებერვალთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (თებერვალი, 2023, მლნ აშშ დოლარი)

| მსუბუქი ავტომობილები, 106 | ნავთობის აირები, 85 | ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 76 | სამკურნალო საშუალებები, 48 | | სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 36 | |
|---------------------------|---------------------|---------------------------------|----------------------------|---------------------------|--|------------|
| | | | საცელეფონო აპარატები, 24 | გამომთვლელი მანქანები, 14 | სიგარეტი/სიგარეტები, 11 | ფრაქცია, 8 |
| | | | ბუღალტრები, 8 | | | |

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (თებერვალი, 2023)





წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2023 წლის თებერვალში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 6.3%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. **სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მადნაში მნიშვნელოვანი წვლილი (64.1 კპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიძინა.** გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების ექსპორტი წლიურად (70%-იანი კლება) შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო საქონლიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე საცირთო ავტომობილების ექსპორტი მალალი იყო. თებერვალში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 11.9%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


რეგიონის ქვეყნიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში მალალი წვლილი შეიძლება რომელიც ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი ავტომობილების, ასევე ხორცი-თევზის გრანულებისა და სამშენებლო მანქანების გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნიდან აზერბაიჯანში მსუბუქი ავტომობილების, ხოლო თურქეთში კი შერეული საქონლის ექსპორტი გაიზარდა. **ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან მსუბუქი ავტომობილების მალალი რეექსპორტის გამო საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვრის მსგავსად, კვლავ დადებითი იყო.** დანარჩენი ქვეყნიდან აღსანიშნავია ჩინეთში სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო ალჟირში ფეროშენადნობების და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში კი მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, აშშ-ში ფეროშენადნობების, ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პერუსა და ინდოეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, რუსეთში ფეროშენადნობების, უკრაინაში კი მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 77% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

თებერვალში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, ასევე ფეროშენადნობებს ეჭირა (50% წილი მთლიან ექსპორტში). საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (22.5 კპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 266%-ით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე სიგარეტები-სიგარიტებზე, გამომთვლელ მანქანებსა და მათ ბლოკებზე, ასევე საცვიროთო ავტომობილებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჭამურად 3.7 კპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობების, მინერალური და ქიმიურ სასუქების ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (თებერვალი 2023, მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (თებერვალი 2023)

| მსუბუქი ავტომობილები, 133 | სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 75 | ფეროშენადნობები, 21 | | ყურძნის ნაცურალური ლვინოები, 19 |
|---------------------------|--|--------------------------------|--------------------------|---------------------------------|
| | | სპირტიანი სასმელები, 11 | თხილი და სხვა კაკალი, 9 | მინერალური და მტკნარი... |
| | | ძვირფასი ლითონების მადნები, 11 | სიგარეტები/სიგარიტები, 8 | მასურები, თბილისი კვარტები, 7 |




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2023 წლის თებერვალში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 103.0%-ით მოიმატა და 372.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 3.2%-ით 27.6 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები თებერვალში კვლავ მაღალი იყო (187 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 9-ჯერ მეტია. თებერვალში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მაღალი ცემპით გაიზარდა (187.7%-ით) და მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 2.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია ასევე ყაზახეთიდან გაზრდილი გზავნილებიც (70.8%-ით), ხოლო აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ შემცირებას განაგრძობს. მაღალი ცემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (18.8%-ით). რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, თებერვალში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (50.3%), ევროკავშირის ქვეყნები (25.4%) და აშშ (8.2%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (თებერვალი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6763-დან 2.6468-მდე (1.1%-ით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.8813-დან 2.8389-მდე (1.5%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6272 და 2.7751 შეადგინა. თებერვალში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.6702, ხოლო მინიმალურმა 2.6272 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


თებერვალში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ლარის გამყარება, ასევე გამყარების ტენდენცია ჰქონდა სომხურ დრამს; აზერბაიჯანული მანათი, თურქული ლირა და ევრო მცირედით გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლი მნიშვნელოვნად გაუფასურებულია.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის თებერვლი; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. თებერვალში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 13.9%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 23.7%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ტენდენციას, წინა თვესთან შედარებით, თებერვალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.7%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.1%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. სავაჭრო პარტნიორთაგან თებერვალში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, რუსეთსა და ევროზონაში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - სომხეთსა და აშშ-ში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2023 წლის თებერვალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 5¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მარკენებლების მიხედვით კონცენტრაცია გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა წლიურად გაიზარდა, ხოლო თვიურად შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 182.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 86.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის თებერვალთან შედარებით 77.7 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 11.4%-ით შემცირდა, ხოლო წლიურად 9.6%-ით გაიზარდა.

2023 წლის თებერვალში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (98.4%) და 2,509.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 648.5 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 628.5 მლნ აშშ დოლარით შემცირებულია) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.4% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 85.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




თებერვალი-2023

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება წლიურად გაზრდილია, ხოლო თვიურად შემცირებული. საერთო ჯამში, თებერვალში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 315.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 366.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,263.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 332.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 262.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,245.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

თებერვალში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 27.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 23.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 39.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ 16.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



თებერვალი-2023

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




თებერვალი-2023

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 179.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ, ხოლო ზრდის მიმართულებით მეცნილად ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მილინარა კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

თებერვალში სადებოზიფო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიფო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიფო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და იანვრის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


თებერვალში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. თებერვალში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 60, მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 128.5 მლნ ლარით შემცირდა და 6,540.3 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 55.2%-ს კომერციული ბანკების, 31.0%-ს ეროვნული ბანკის, 9.2%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.6%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადებოზიფო სერტიფიკატების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში, სადებოზიფო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა, ხოლო სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. კერძოდ, თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 9.85%-ზე შენარჩუნდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.36 პპ-ით შემცირდა და 9.48%-ს შეადგენდა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 9.39% იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.02 პპ-ით ნაკლებია. ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.31 პპ-ით შემცირდა და 8.70% იყო. ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.13 პპ-ით 8.68%-მდე შემცირდა. ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი კი 8.65%-ს შეადგენდა, რაც წინა თვესთან შედარებით 0.70 პპ-ით ნაკლებია. **გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების შემცირების ერთ-ერთ ფაქტორი შესაძლოა ბაზარზე ინფლაციური მოლოდინების შემცირება იყოს.**

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 3,656.9 მლნ ლარით, (წლიურად 5,415.4 მლნ ლარით გაიზარდა) 9,625.3 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუდის რესურსის ბრუნვის შემცირებამ განაპირობა. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (83.7%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,313.9 მლნ ლარით (14.0%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 2,343.0 მლნ ლარით (59.9%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.02 პპ-ით შემცირდა და 10.51% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუდის საპროცენტო განაკვეთი თვიურად 0.01 პპ-ით 1.65%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ თებერვალში ფულადი ბაზრის რესურსის 18.0% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 81.7% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

2023 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 72.3 მლნ ლარით (1.3%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 5.7 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 122.1 მლნ ლარით (2.16%-ით) შემცირდა.


საბანკო სისტემაში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 97.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნული ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 85.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 183.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. თებერვალში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 242.6 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 767.2 მლნ ლარს გაუფოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე თვეში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 27.0 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 50.0 მლნ ლარით გაიზარდა და 1,360.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი 70.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 8.2 მლნ ლარით შემცირდა და 305.9 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 112.2 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,077.1 მლნ ლარს გაუტოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა.


2023 წლის თებერვალში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 69.5 მლნ ლარით ზრდა, M2 აგრეგატის (ეროვნული ვალუტით სადეპოზიტო ვალდებულებების) ზრდის გავლენით. თავის მხრივ, M2 აგრეგატის ზრდა (გაიზარდა 101.1 მლნ ლარით) მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა (გაიზარდა 113.1 მლნ ლარით).

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

